სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 23 სექტემბერი 1994 № 50 (125) ფასი 200 მანეთი ან შესაბამისად კუპონებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამედაც, არჩილ!

არჩილის მეორე გოლი

დინამო 5:3 შევარდენი

თბილისი 22 სექტემბერი ეროვნული სტადიონი, 3000 მაყურებელი

დინამო: ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, დიდავა, ინალიშვილი (ცქიტიშვილი 77), ყაველაშვილი, ა. არველაძე, ჯამარაული, რ. არველაძე, რევიშვილი, შ. არველაძე (იაშვილი 77).

შევარდენი: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, მესტუმრე (ჯელაძე 46), ნადირაძე, მაჭაცარია (ჭოლოკავა 60), ჯიქია, ხვადაგიანი, ფრიდონაშვილი, შუბითიძე.

1:0 ა. არველაძე (3)
2:0 ა. არველაძე (33)
3:0 ჯამარაული (40)
4:0 ყაველაშვილი (50)
4:1 ფრიდონაშვილი (51)
4:2 შუბითიძე (65)
5:2 ა. არველაძე (85)
5:3 ჭოლოკავა (86)

მსაჯი: მალხაზ კობიაშვილი

თბილისის საფეხბურთო საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა „დინამო" - „შევარდენის" მატჩს. გახმაურებული მითქმა-მოთქმის გარდა უმთავრესი იყო, როგორ ეგე[...]ებოდა გუნდი, არც შევცდები თუ ვიტყვი, ქართული ფეხბურთისთვის უმ[...]იშვნელოვანეს მატჩს „ინსბრუ[...]თან", რადგან ავსტრიელებთან მო[...]ებისა და მეთექვსმეტედფინალში გა[...]ლის შემთხვევაში მომავალ სე[...]ონში საქართველოდან ალბათ ევრო[...]ტურნირებში ორი გუნდი ჩაებმება, [...]ვეყნის ჩემპიონს კი, იმედია, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მონაწი[...] 24 გუნდს შორის ჩართავენ.

[...]პირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ: სასტარტო შემადგენლობაში უკანა მცველი ლობჟანიძე გახლდათ, მარჯვე[...]ა ფრთა მთლიანად რევიშვილის იყო, რომელიც ქინქლაძის №10 მაი[...]ურით თამაშობდა, ნემსაძემ მარ[...]ცხნივ გადმოინაცვლა, მის წინ ყავ[...]ლაშვილი მოქმედებდა, რეზომ მა[...]ვნიდან ცენტრში შეიწია და ჯა[...]რაულთან და ინალიშვილთან ერთა[...] მინდვრის შუაგულში მოქმე[...]ბდა. წინა მცველის ადგილზე, თა[...]აც პერსონალურად მეტოქის თა[...]დამსხმელის (შუბითიძე) წინააღმდე[...] ითამაშა ახალგაზრდა დიდავამ. თა[...]ასხმაში, ჩვეულებისამებრ, მოქმე[...]ბდნენ ტყუპები, რომლებიც წა[...] აუწუმ ადგილებს იცვლიდნენ.

ისევე როგორც ბათუმში, ანგარიში აქაც 5:3 იყო დინამოელთა სასარგებლოდ. შედეგიანობით კვლავ გაგვახარა არჩილმა, რომელმაც ზედიზედ მეორე „ჰეთ-თრიქი" შეასრულა და ბომბარდირთა სიაში მაჰუტაძის შემდეგ 8 გოლით მეორე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავი იყო აგრეთვე რეზოს გამჭოლი პასები მინდვრის შუაგულიდან. თუმცა როგორც არაერთხელ მომხდარა, 4:0-ის მერე დინამოელებმა ტემპსაც უკლეს, გაიხსნენ და დაცვაში შეცდომებსაც უმატეს, რასაც მოჰყვა კიდევაც შევარდენთა სამი გოლი. სხვათა შორის, სამივე ძალიან ლამაზი: ჯერ მათ ორიგინალურად გაითამაშეს პენალტი, რომელიც ჯიქიას წაქცევისთვის დაინიშნა. მელქაძე ახლოს მივიდა ბურთთან და ფეხის მოძრაობით უჩვენა ზოიძეს, რომ სოკრატესისეულ პენალტს ურტყამდა, მაგრამ ოდნავ გააგორა ბურთი მარცხნივ, რომელსაც წამის შემდეგ ფრიდონაშვილმა დაამატა. ამის მერე შუბითიძემ ცაციათი ოციოდ მეტრიდან ცხრიანში გაახვია ბურთი. მატჩის მიწურულს, კი რამდენიმე წუთით ადრე, შეცვლაზე გამოსულმა ჭოლოკავამ ასევე ძლიერი დარტყმით იმავე კუთხეში გაიტანა მესამე გოლი.

სასიხარულო იყო, რომ დინამოელებმა საქართველოს ორ ძლიერ გუნდს ხუთ-ხუთ გოლი გაუტანეს, თუმცა სამწუხაროდ ორივეჯერ სამსამი გაუშვეს, თუ „ბათუმთან" ეს დამცველთა არყოფნით აიხსნებოდა, „შევარდენთან" შელიას გარდა ყველა მცველმა ითამაშა. გაშვებული ბურთები მატჩის შემდეგ გივი ნოდიამ ასე შეაფასა:

— 4:0-ის მერე გახსნილი თავისუფალი თამაში წავიდა, ხსვათაშორის ეს ჩვევა ჩვენ გუნდს მუდამ ჰქონდა, რაც შეეხება სამ გაშვებულ გოლს, იგი მთლიანად გუნდის სუსტი თამაშის მაჩვენებელია დაცვაში და არა მხოლოდ კონკრეტულად მცველთა შეცდომებისა.

— შელიას არყოფნა გასაგებია ქინქლაძემ რატომ არ ითამაშა?

— გიორგის სურდო ჰქონდა და დავასვენეთ.

— მეტოქეზე ბოლო რა ინფორმაცია გაგაჩნიათ?

— მხოლოდ ის შევიტყვე, რომ 5:1 მოუგიათ ბოლო მატჩში. სამი გოლი სანეს ჭაუტანია.

— როგორც ადრე განაცხადეთ, ძირითად შემადგენლობას მატჩის დღეს დაასახელებთ?

— დიახ. როდესაც მატჩის დღეს ინსბრუკში გამეღვიძება, მაშინ შევცდინებ ყველაფერი.

...ახლო-მახლო პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე ბექან ხურციძე შევნიშნე:

— ბატონო ბექან, დღეს პარლამენტში ფეხბურთზე უმსჯელიათ...

— დიახ, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის ქართულ ფეხბურთში არსებულ განხეთქილებას. „ინსბრუკთან" საპასუხო მატჩის შემდეგ ჩვენთან შედგება სხდომა, რომელზეც ყველა დაინტერესებულ მხარეს მოვიწვევთ.

— ჟურნალისტების საქმე როგორ იქნება?

— ყველა ჟურნალისტისთვის სხდომის კარი ღია იქნება.

მამუკა ქვარაცხელია.

გია ახალაძის ფოტოები.

შეტევას დანატრებული გიორგი ნემსაძე

სლოვენია - საქართველო ?

სლოვენიაში გამართულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა (16 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი გაიოზ დარსაძემ) პირველ მატჩში სძლია სომეხ თანატოლებს 5:2. მეორე მატჩში სომხებმა სლოვენებთან წააგეს 0:4. ამრიგად, დღეს გადამწყვეტი მატჩია სლოვენია — საქართველო.

სტამბოლის ბრინჯაო, აიბა-ს ელიტა

— ტლაშაძისგან და პარძლაშვილისგან მედლებს კი ველით, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის მთავარი ის არის, ახალგაზრდები გამოიცადნონ და ასე ნანატრ და ჩვენთვის საოცნებო ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზონ — ასეთი გახლდათ ჩვენი კრივის თავკაცთა განწყობა ახლახან სტამბოლში დასრულებულ 19 წლამდე ასაკის მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატამდე. მედლების მხრივ მოლოდინი სანახევროდ გამართლდა — გორელმა ილია ტლაშაძემ (71 კგ. მწვრთნელები — ავთანდილ შოშიაშვილი, გიორგი კარელიძე) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მის გარდა საქართველოს კიდევ რვა ახალგაზრდა მოკრივეს კი, როგორც იქნა, საერთაშორისო რინგზე გასვლა ეღირსა. ამასთან, ჩვენი კრივის ფედერაცია ამ ტურნირს სხვა რამესაც გამორჩა: კრივის საერთაშორისო ფედერაციას (აიბა) ჩვენებისთვის სამსაჯო კომპიუტერები უნუქებია და აწი საშინაო შეჯიბრებების „ტექმომსახურება" თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი გვექნება.

კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ სხვა საინტერესო ამბებიც გვაუწყა: საერთაშორისო ფედერაციას შეუდგენია მსოფლიოი მოკრივეთა საკლასიფიკაციო ნუსხა ბარსელონის ოლიმპიადის შემდგომი პერიოდიდან 1994 წლის 30 ივნისამდე და ამ ნუსხაში 91 კგ წონით კატეგორიაში მეორე ნომრად დაუსახელებიათ ჩვენი გიორგი კანდელაკი. ვინ იქნებოდა პირველი, ძნელი მისახვედრი არ არის: სეულის ოლიმპიადის შემდეგ კუბელ ფელიქს სავონს ამ წონაში ბადალი არ ჰყავს, ტიტული არ დარჩა, არ მოეპოვებინოს და აკი უკონკურენციოდაც რგებია პირველი ადგილი. მას 360 ქულა მოუგროვებია, კანდელაკს — 190. თავის მხრივ კანდელაკს საგრძნობლად, 35 ქულით უჯობნია გერმანელი მონსესთვის. ზემძიმე (91 კგ) წონაში ჩამოსახელებულ 10 საუკეთესოს შორის მეცხრეა ზურაბ სარხანია, რამაზ ფალიანსა და პაატა გვასალიას კი ცოტა დაკლებიათ (სავარაუდოა, მსოფლიო თასის შედეგები) „თავიანთ" ათეულებში მოსახვედრად.

დიეგო გამწვრთნელებულა

შაბათს დიეგო მარადონა ფეხბურთს დაუბრუნდა, ოღონდაც ახალ ამპლუაში. ნარკომანიისა და დოპინგის ხმარებაში თითოჯერ მხილებული 33 წლის არგენტინელი ვარსკვლავი, რომელსაც მეორედა აქვს მისჯილი 15-თვიანი დისკვალიფიკაცია, დაინიშნა ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელის თანაშემწედ. მარადონა კლუბში უსასყიდლოდ, „საზოგადოებრივ საწყისებზე" ილვაწებს. „ხუნიორსის" მწვრთნელია ლუის სესარ მენოტი, რომელმაც არგენტინას 1978 წელს მოაგებინა მსოფლიო ჩემპიონატი. მაშინ მენოტის მარადონა 25-კაციან შემადგენლობაშიც კი ჰყავდა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, ჯერ კიდევ ნორჩიაო და ჩემპიონატის მონაწილე 22 მოთამაშის სიაში აღარ შეიყვანა.

ველოდი, მაგრამ... არ ველოდი



— მიუხედავად იმისა, რომ თქვენს მთავარ რედაქტორს მეგობრად ვთვლი, უნდა გითხრათ, რომ ასეთი წერილი (საუბარია „სარბიელის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „ახალკაცმა არავის დაუთმო თავისი დამტკრეული სკამი“) თუ რამეს გამოხატავს, იმას, შეგვხვედეთ, რა მოწინავე პოზიციაზე ვართო. ეს დაწვრილმანება. პუბლიკაციაში ყურადღება გამახვილებულია ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობაზე ჩემს მიერ „დინამოს“ ტექნიკური დირექტორის ვაჟა ყვანიას ამხანაგ ყვანიად მოხსენიებაზე და მსგავს უმნიშვნელო ამბებზე. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ავტორი სასეიროდ იყო მოსული, მაშინ, როდესაც იმ წუთებში ქართული ფეხბურთის მომავლის ბედი წყდებოდა.

ასე დაიწყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძისა და ჩვენი საუბარი. ამ საუბარს თუ პრეს-კონფერენციას აგრეთვე გაზეთების „დრონის“, „რეზონანსის“ და „ლელოს“ (ამ უკანასკნელის წარმომადგენელი ჯემალ ჭიპაშვილი ამავდროულად ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსი გახლავთ) კორესპონდენტებიც ესწრებოდნენ. კოლეგებთან დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ისინი, მიუხედავად აქტიური მონაწილეობისა, აგრეთვე დამსწრეთა შორის მოვიხსენიე, მაგრამ, როგორც ინტერვიუს დასაწყისიდან, ასევე შეხვედრასა და საუბარზე წინასწარი მოლაპარაკებებიდან დავინახეთ, ბატონი დავითის ინტერესის ძირითად საგანს, მისი ნაუბრის სწორედ „სარბიელში“ მოთავსება წარმოადგენდა. თუ ეს ასე არ არის, კიდევ ერთი ბოდიში მოგვითხოვია. არც ის გვინდა, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ლამის სამსაათიანი პრეს-კონფერენცია, ფედერაციისა და „სარბიელის“ ურთიერთობათა გარკვევას დაეთმო. ცხადია, ბატონი დავითის მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს ჩვენი კონტრარგუმენტები შევაგებეთ, მედიისა და ფეხბურთის ხელმძღვანელთა ურთიერთობების ზოგად საკითხებზეც ვისაუბრეთ, მაგრამ ამაზე აქ ალარ შეეჩერდებიდ. ჯერ ერთი, ვინც „სარბიელის“ წინა ნომერი წაიკითხა, მასში გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ავკარგიანობა თავად განსაჯოს, მეორეც, პრეს-კონფერენციის ძირითადი თემა სხვა იყო და სჯობს მას მივხედოთ.

— ყრილობაზე ორი მთავარი მომენტი იყო — თქვა გენერალურმა მდივანმა — პირველი ის, რომ ფედერაციამ იგი მაღალ დონეზე, მოამზადა, მეორე — რამდენიმე მონაწილე თბილისის ფედერაციიდან, „დინამოდან“ და „სამტრედიიდან“ მის ჩაშლას ცდილობდა.

— რისთვის სჭირდებოდათ ყრილობის ჩაშლა?

— მათ ახალკაცის პრეზიდენტობა ხელს არ აძლევთ. „დინამოსგან“ ეს მით უფრო საკვირველია, რომ წლეულს თუკი რამ თხოვნა ჰქონდათ, ფედერაციის ხელმძღვანელობამ ყველაფერი დაუკმაყოფილა. არადა, ისინი ხშირად მოდიან ამა თუ იმ სასარგებლო რჩევისა და დახმარების მისაღებად. მაშ, თუკი მათთვის საქმეში ხელშეწყობის გარდა სხვა არაფერი გაგვიკეთებია, გამოდის, რომ მათი ოპოზიციონერეობა პირადული მოტივებით უნდა აიხსნას. ობსტრუქციაში მონაწილეობდა სამტრედიელთა მწვრთნელი მურთაზ ხურცილავაც. მურთაზი უდიდესი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მას საიმისო ცოდნა არ ჰყოფნის, რომ გაერკვეს, რას ნიშნავს ყრილობა, ფედერაციის აღმასკომი და სხვა. შესაბამისად გასაგები ხდება, რატომ გაიმეორა რამდენჯერმე, ვერ გამიგია, აქ რა ხდებაო. დაიბნა ადამიანი. ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ განაცხადა ყრილობაზე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა, დელეგატთა მანდატები არასწორად არის განაწილებულიო. დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მან ჩვენთან მოავლინა კვალიფიცირებული სპეციალისტი ამირან აბესაძე. იგი გაეცნო ჩვენს დოკუმენტაციას და თქვა, რომ ყრილობა კარგად არის ორგანიზებული. საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ასათიანთან საქმიანი ურთიერთობა გვაქვს. მაგალითად, მალტისა და მოლდოვას ნაკრებების მასპინძლობისას ტრანსპორტი მან გამოგვიყო. რაც შეეხება ყრილობაზე სიტყვით გამოსულ პარლამენტის სპორტის კომისიის თავმჯდომარეს ბეჟან ხურციძეს, მას ფეხბურთის საკეთილდღეოდ თითი თითზეც არ დაუკარებია. როცა დახმარება გვჭირდება, იძულებულნი ვართ მის ნაცვლად სხვა, ნაცნობ პარლამენტარებს ვურეკოთ ხოლმე. გააკეთებს რამეს საქმის საკეთილდღეოდ თუ არა, ეს ბოლოს და ბოლოს მისი საქმეა, მაგრამ ნუთუ ამხელა თანამდებობის პირმა ის არ უნდა იცოდეს, რომ ყრილობის ჩაშლა დამღუპველი საქმე იქნებოდა?! რას იტყოდნენ ფიფასა და უეფაში, როცა შეიტყობდნენ, რომ ყრილობა ვერ ჩავატარეთ და ამ საქმეში დიდი წვლილი ბეჟან ხურციძემ დაიდო?! ნუთუ ვინმესთვის კიდევ ასახსნელია, რომ საერთაშორისო ფედერაციები ფეხბურთის საქმეში გარედან ჩარევას სასტიკად კრძალავენ?

— არ ელოდით ოპოზიციის აქტიურობას?

— ველოდი, მაგრამ ასეთი ფორმით არა. ვერ დავამტკიცებ, მაგრამ მჯერა, რომ მიკროფონიც სპეციალურად გამორთეს და ერთხანს შუქის გათიშვასაც ცდილობდნენ. გამაოცა დელეგატი ჟვანიას ქცევამ, იმან, რომ ამგვარ მოქმედებას მხარი დაუჭირა მონაწილეთა გარკვეულმა რაოდენობამ, მეტადრე კი კახი ასათიანმა და ბეჟან ხურციძემ.

— ხომ არ თქვლით, რომ ოპოზიციის სწორედ ამგვარმა ქცევამ მათვე საწინააღმდეგოდ იმოქმედა?

— თუ ოპოზიციას ჩვენი მუშაობა არ მოსწონს, მაშინ სხვანაირად უნდა მომზადებულიყო. უნდა გამოეყვანა ერთი დელეგატი მაინც, რომელიც ჩვენს ნაკლზე დასაბუთებით ილაპარაკებდა. უნდა წამოეყენებინა პრეზიდენტის ალტერნატიული კანდიდატურა, რომელიც საპროგრამო სიტყვას წარმოთქვამდა.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ყრილობა კარგად იყო ორგანიზებული.

— წესდების თანახმად, ყრილობის ჩატარების თარიღი ექვსი თვით ადრე უნდა დაითქვას. ამა წლის 7 მარტს იგი დაინიშნა კიდეც. ამაზე მეტყველებს ფედერაციის პრეზიდიუმის (ახლა მას აღმასკომი ეწოდება) №26 ოქმი. 30 მაისს (ოქმი №27) დადგინდა დელეგატთა მოწვევის წესი და რეგლამენტი. კანონთა თანახმად, წარმომადგენელთა ოდენობას აღმასკომი აწესებს, ხოლო თუ ვინ აირჩევა დელეგატად ამა თუ იმ ორგანიზაციიდან, ვისაც ადგილები გამოეყო, ეს ადგილობრივ მათი საქმეა. აღმასკომს შეეძლო 100 დელეგატი მოეწვია, შეეძლო-500. ჩვენ 200 კაცი ოპტიმალურად ჩავთვალეთ. რეგლამენტთანვე დამტკიცდა, რომ ყრილობა 2-3 საათიანი უნდა ყოფილიყო გამოითქვა პრეტენზია, თბილისის „დინამოს“ მეტი ადგილი რად არ გამოუყავითო. დადგენილების თანახმად, პირველი ჯგუფის გუნდებს მიეცათ ორ-ორი ადგილი. მართალია, „დინამო“ ყველას სათაყვანებელი გუნდია, მაგრამ წესი წესია. გაუგებარია, რა ლოგიკით უნდა ჰქონოდა ერთიდაიმავე ჯგუფის ერთ გუნდს, თუნდაც იგი „დინამო“ იყოს, მეტი ადგილი, ვიდრე სხვებს. საბუთები ყრილობაზე დელეგატთა მივლინების შესახებ ქალაქების და რაიონების მერებსა და გამგებლებს, აგრეთვე ადგილობრივ ფედერაციებსა და კლუბებს ჩვენისს გაეგზავნათ. დროულად დაიბეჭდა და დარიგდა წიგნად გამოცემული აღმასკომის მოხსენება. როგორც თავად ხედავთ, ყველაფერი იმთავითვე მოგვარებული იყო. (ჩვენ ეს დოკუმენტები მართლაც საკუთარი თვალით ვიხილეთ).

— ყრილობა მხოლოდ 2-3 საათს რომ უნდა გაგრძელებულიყო, რამდენიმე თვით ადრე რატომ დაგეგმეთ?

— დროა, ძველი ყაიდის წესები და სტერეოტიპები მოიშალოს. მოხსენებას ფიფასა და უეფაში ღარ კითხულობენ, ის დაბეჭდილია და დელეგატებს ადრევე ურიგდებათ. შესაბამისად, მისი წაკითხვის დრო იზოგება. ჩვენც ასე მოვიქეცით.

— კი, მაგრამ, უეფაში საქმე აწყობილი აქვთ. ჩვენში, იქნებ, მოხსენების წაკითხვა უფრო უარიანი ყოფილიყო.

— სამოცგვარდიან მოხსენებას ოთხი-ხუთი საათი ხომ არ ვიკითხავდით?! ის ხომ ყველას ხელთ ჰქონდა.

— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ წაიკითხეს კიდეც?

— უმეტესობამ მოხსენება 10-13 სექტემბერს მიიღო. სხვათა შორის, თქვენ იმ ხალხს ახლა შეურაცხყოფა მიაყენეთ. თქვენთვის რომ მოგვეცა არ წაიკითხავდით?

— წავიკითხავდით.

— მაშ რატომ თვლით, რომ ფოთელი, ყვარლელი თუ სხვა დელეგატები არ წაიკითხავდნენ. ჩემი აზრით, ჩვენს გუნდებში ისეთი ხალხი მუშაობს, რომლებიც მოხსენებას წაიკითხავდნენ.

— მაშ, თუნდაც ერთი შეკითხვა მოხსენების შესახებ, რატომ არავის გაუჩნდა?

— მოხსენებაში ძირითადად სტატისტიკური ანგარიშია. გარდა ამისა, ფვანია ხომ შემედავა, მოლდოვასთან გამარჯვება წინასწარ გქონდათ ჩაწერილიო. ჩვენ იმთავითვე ვთქვით, რომ ყრილობაზე საუბარი სტრატეგიულ საკითხებზე წარიმართებოდა და არა თითოდან გამოწოვილ ამბებზე.

— წელან დელეგირებაზე საუბრობდით. ოპოზიციის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ თქვენ დელეგატებად საკუთარი თანამშრომლები, ანუ თქვენზე ხელფასით დამოკიდებული ხალხი, აირჩიეთ.

— ჩემთვის უცნობია, რომელი საარჩევნო კანონი კრძალავს აპარატის მუშაკების დელეგატობას. ჩვენი ფედერაციის წესდება ამას არ კრძალავს. გვედავებოდნენ, ვეტერანები რატომ არ არიანო. მათ კავშირს სამი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი, მეტი ვიდრე ფედერაციებს და კლუბებს. გარდა ამისა, ჩივაძე, ახალკაცი, სულაქველიძე, ნოდია, ნორაკიძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, მაჩაიძე, შენგელია, კოპალეიშვილი და სხვები განა ვეტერანები არ არიან?

— ოპოზიცია სულ ბარჭაიას ითხოვდა.

— 1990 წელს, როდესაც ჩვენი ფედერაცია დაარსდა, ახალკაცმა ვიცეპრეზიდენტობა გიეი ნოდიას და ვლადიმერ ბარჭაიას შესთავაზა. მათ უარი ი ქვეს. მურთაზ ხურცილავას ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელობას ვთხოვდით — არ ისურვა. ცხადია, ზოგი ვეტერანი გარეთ დაგვრჩა, მაგრამ ისინი ფეხბურთის სფეროში არ მუშაობენ, თავიანთი სპეციალობა აქვთ. ბევრ მათგანს იმთავითვე შევთავაზეთ თანამშრომლობა, კომისრობა, მაგრამ არ დაგვაყაბულდნენ. ახლა არ ვჭნათ? კახი ასათიანის თქმით, ეს ამჟამად სხვა პროფესიის ხალხი უნდა მოგვეწვია, ხოლო ჩვენი აპარატიდან ახალკაცი (პრეზიდენტი), კვინიკაძე (გენ.მდივანი), შენგელია (ნაკრები გუნდების კომიტეტის უფროსი), დარასელი (სადისციპლინო კომისიის მდივანი), პეტრიაშვილი (საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის უფროსი), ქარქაშაძე და მელაშვილი (საშჯიბრო კომიტეტი), თანანაშვილი (რეზერვებთან მუშაობის კომიტეტის უფროსი), ტიკარაძე (მთავარი ბუღალტერი), ანთიძე (მინი და ქალთა ფეხბურთის ინსპექტორი), მეტრეველი (იურისტი), ინაშვილი (სპორტული ინსპექტორთა მომსახურეობა კომიტეტის უფროსი), ფანიაშვილი (სტატისტიკა და ტრანსფერების კომიტეტის უფროსი) და ბიბაშვილი (რეზერვებთან ურთიერთობა კომიტეტის უფროსი) არ უნდა ყოფილიყვნენ. ამ ბანმა ... ...

«სწრაფი შტანგა» და ჩვენებური გულმავიწყობა

გაგიხარია, კარგი საქმეა გაიგო, კახი კახიაშვილმა საბერძნეთში, ძალოსანთა მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე 185,5 კგ-ით მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცშიო (ამაზე წინა „სარბიელში“ ვწერდით), მაგრამ, დაგვეთანხმებით, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის გამოსვლისთვის საკადრისი სისრულე (საბოლოო შედეგი, ორჭიდის ჯამი და ა.შ.) აშკარად აკლდა ამ ცნობას. გავიკითხეთ და, თურმე რა ყოფილა:

მსოფლიო თასის ამ ეტაპზე მხოლოდ 12 ძალოსანი მიუწვევიათ, ცხადია, ისინი, ვისზეც ძალოსნობის ფარსკვლავები ითქმის და აკი შეუხიბრებისთვის გალა-ტურნირიც ამიტომ უწოდებიათ. მთავარი კი ის ყოფილა, რომ თავ-თავიანთ წონაში მოასპარეზე ეს თორმეტეული ერთმანეთისთვის გაუხიბრებიათ, რაკიღა კრიტერიუმად ასეთი რამ დაუთქვამთ — მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება, გამეორება ან მასთან მიახლოება. ერთი სიტყვით, „სწრაფი ჭადრაკისა“ არ იყოს, „სწრაფი შტანგის“ მსგავსი საკმაოდ პრესტიჟული ასპარეზობა გაუმართავთ. ამ კრიტერიუმით უძლიერესი გამომდგარა ბელარუსი ზემძიმეწონისანი ალექსანდრ კურლოვიჩი, რომელსაც 3 მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია. კახიაშვილი ერთი მსოფლიო რეკორდით მეორე ადგილზე გასულა, თანაც, რაც ჩვენთვის ძალზე საგულისხმოა, სწორედ იმ ალექსანდრ პეტროვისთვის უჯობნია, ვინაც წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ოქრო „წაართვა“ და ვერცხლს „დაყაბულა“. ესაცა, რომ გვიმედებს: წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე (ნოემბერი, თურქეთი) კახი, ბოლოსდაბოლოს, იტყვის თავისას. თურქეთში სააპარეზოდ კახიაშვილთან ერთად ემზადებიან მუხრან გოგია და ბიძინა მიქიაშვილი.

ბოლოს კი ერთ უცნაურ ამბავზე: შეიძლება ისეც მოხდეს, რომ უახლოეს ხანს ერთ თბილისურ ოჯახში, ძალოსნობასთან რომ არავითარი კავშირი არა აქვს, ტელეფონმა დარეკოს და ყურმილის აღებისა ოჯახის მავანი წევრი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ რომელიმე დიდ — თანაც ისეთ, ზემოთ რომ ვისაუბრეთ — ტურნირზე მიიპატიჟოს. საიდან ასეთი პატივი, იკითხავთ. იქიდან, ჩემო ბატონო, რომ ჩვენი ძალოსნობის ფედერაციას უსახსრობის გამო ტელეფონით სარგებლობის გადასახადის შეტანა დაჰგვიანებია, კავშირგაბმულობის სამინისტროს კი დიდი პრინციპულობა და შესაშური სამართო ეკონომიკური ოპერატიულობა გამოუჩენია და ფედერაციის ის ერთადერთი ტელეფონის ნომერი, ჩვენი ძალოსნები გარე და შიგა სამყაროს რომ უკავშირდებოდნენ, კერძო პირისთვის გადაუცია. ამიტომაც იყო, რომ ასე გაგვიჭირდა ძალოსნებთან ტელეფონით დაკავშირება და მათი ღვთისნიერი მოფარიკავე მეზობლები რომ არა, კარგა ხნით ფეხით წანწალი მოგვიწევდა 2-3 წუთიანი სატელეფონო საუბრის ფასიანად. ჩვენი თავი კი ჯანდაბას, რა უცხო ჩვენთვის წანწალია, მაგრამ კავშირგაბმულობის სამინისტროში ერთი კაცი მაინც არ იყო ისეთი, კახიაშვილის ოლიმპიური ჩემპიონობა რომ გაუხარდა და, თუ გაუხარდა, ასე უცებ რამ დაავიწყა.

ERC

ვისაც გსურთ სამ თვეში ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ივრითი, თურქული და რუსული სალაპარაკო ენისა და წერა-კითხვის შესწავლა, მიმართეთ შ.პ.ს. „ელიტა-სკ“ უცხო ენების სწრაფი შესწავლის კურსებს მისამართზე:

ვაჟა-ფშაველას გამზირი 44, მეორე სართული, № 12 (მეტრო „დელისი“). ტელ. 39-87-25.

ან სტუმრები ვართ, ან — მასპინძლები

ხელბურთელთა ევროთასების წლევანდელ გათამაშებაში საქართველოს გუნდების ოდენობას საკმაო ეთქმის — შვიდი.

თასების თასზე „მამულმა“ რომ ბაქოს „უმუდს“ აჯობა, ეს უკვე კარგა ხანია გაუწყეთ. ასევე შესარჩევი ეტაპიდან ჩაება ჩემპიონთა თასის გათამაშებაში „შევარდენი“. ფინანსური მოსაზრებით, უფრო სწორად კი, გაჭირვებისა გამო, გუნდმა ტრნავის „ლოკომოტივთან“ ორივე მატჩი სლოვაკეთში გამართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივეჯერ მასპინძლებმა გაიმარჯვეს დიდი სხვაობით 30:17 და 32:17. მარცხის მიზეზი ისიცაა, რომ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ „შევარდენში“ მოხდა დიდი ცვლილებები, რის შესახებაც ვესაუბრეთ ჩვენი ხელბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტს **მერაბ მეტრეველს:**

— წლევანდელი ჩემპიონი „შევარდენი-სტუ“, ფაქტობრივად, ორ გუნდად გაიყო. უძლიერესი, საჩემპიონო შემადგენლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით ისაპარეზებს, ახალი „შევარდენი“ კი, შეიძლება ითქვას, გაძლიერებული „ორბია“.

— გაძლიერებაში რას გულისხმობთ?

— სამი მოთამაშე დაემატა „ამირანიდან“, ოთხი — მართვედან“. ამ ახალგაზრდულ გუნდს ჩვენს მომავალ ჩემპიონატში მოკრძალებული მიზანი ექნება, მაგრამ იმედია, თანდათან მომძლავრდება და მალე კონკურენციასაც გაუწევს ლიდერებს. ასე რომ, ტრნავაში დიდი ანგარიშით მარცხი მოულოდნელი არ ყოფილა.



— სტუ-ს საქმე როგორლაა?

— გუნდი უცვლელი შემადგენლობით ემზადება ქალაქების თასზე ბელგიის ქალაქ ლიეჟის „ექსტრანთან“ შესახვედრად. ერთი ახალწვეულიც ჰყავს — ორმეტრიანი მცველი ბადრი ნათობიძე. მეტოქეზე თითქმის არაფერი ვიცით. მხოლოდ ის, რომ შარშან თასების თასზე პირველ წრეში პოლონეთის „ზაგლებიას“ აჯობა, მერე კი დანიის „გოგგუდმენთან“ დამარცხდა. ბელგიის წლევანდელ ჩემპიონატში „ექსტრანი“ მეოთხე ადგილზე გავიდა. ვფიქრობ, შანსები თანაბარია, თუმცა ორივე მატჩს, ისევე, როგორც ჩვენი სხვა გუნდები, სტუ-ც სტუმრად ითამაშებს 13 და 15 ოქტომბერს.

— ისეთი რა ხარჯები სჭირდება უცხოელთა თბილისში მოსვლას?

— ევროპის ხელბურთის ფედერაციის დებულებით, მასპინძელი ვალდებულია 2 დღე-ღამით უზრუნველყოს მეტოქე გუნდის 18-კაციანი დელეგაცია მაღალი კლასის სასტუმროთი და კვებით, აუნაზღაუროს მსაჯებსა და კომისარს სამივლინებო ხარჯები. ყველაფერი ეს 10 ათას დოლარამდე აღწევს, რაც ნებისმიერი ჩვენი კლუბის ფინანსურ შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომაც ვთანხმდებით ასეთ ვარიანტზე. ანალოგიურ მდგომარეობაშია საქართველოს ვიცე-ჩემპიონი „ამირანი“, რომელსაც პრობლემები ჰქონდა, ფინანსურიც და შემადგენლობის თვალსაზრისითაც. ახლა ყველაფერი მოგვარდა და გუნდს საბარძნეთის ქალაქ კილკისის ამავე სახელწოდების კლუბთან წარმატების შანსიც აქვს.

— ქალთა გუნდებზე რას გვეტყვით?

— ევროთასებზე სამი გუნდი გამოვა. თასების თასზე ფოთის „კოლხეთი“ (მწვრთნელი დარეჯან გეფერიძე) დანიის „ჰანდბალკლაბს“ ეთამაშება, ფედერაციის თასზე ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი „თბილისი“ (გურამ ძაგანია, ალექსანდრე ხუციშვილი) — უკრაინის ქალაქ ბროვარის „აქტომობილისტს“, ხოლო „მართვე“ (ზაზა დოლიძე) — ბრატისლავის „ინტერს“. სამივე კლუბს ძლიერი მეტოქე შეხვდა. შედარებით უკეთესი შანსი აქვს ახალგაზრდა თუმცა საკმაოდ გამოცდილი ხელბურთელებით დაკომპლექტებულ „მართვეს“, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრებს წარმოადგენს. საერთოდ, ქალთა ხელბურთი რომ შევინარჩუნეთ და დღემდე არსებობს, მთლიანად განათლების სისტემაში სპორტისადმი გულისყურიანი დამოკიდებულების შედეგია. სწორედ იქიდან მიღებენ შევსებას ჩვენი გუნდები. ტრადიციულად, ჩვენი კლუბების (არა მხოლოდ ქალთა) მთავარი „მკვებავი“ თბილისის განათლების სამმართველოს ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლაა, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი სამაგალითოა მთელ რესპუბლიკაში. ეს კი, ბუნებრივია, სკოლის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელების დამსახურებაა: საყოველთაო გაჭირვების ჟამსაც კი მათ არ შეუნელებიათ მუშაობა და სკოლა პრაქტიკულად შეუფერხებლად საქმიანობს. გარდა ამისა, თითო-ოროლა იმედისმომცემი სპორტსმენი რიონებშიც გამოჩნდება ხოლმე, სადაც მოზარდთა ჯგუფებში მუშაობა ჩვეულებრივ რიტმს უბრუნდება სიძნელეების მიუხედავად. ასე რომ, მომავლის იმედით ვართ.

გია ახალაძე

საქართველოს ჩემპიონატი

II ჯგუფი

I ტური. აღმოსავლეთი ზონა

ალაზანი (გურჯაანი) — ასკ (თბილისი) 2:0
მესხეთი (ახალციხე) — მერანი-ბაჩო (თბილისი) — 3:3
არაგვი (დუშეთი) — ავაზა-კრწანისი (თბილისი) 4:0
სიონი (ბოლნისი) — შირაქი (დედოფლისწყარო) 8:2
მერანი 91 (თბილისი) — გვარდია (თბილისი) 5:0
თორი (ბორჯომი) — ჭაბუკიანი 1:0

II ტური

ასკ — ჭაბუკიანი 1:0
ავაზა-კრწანისი — თორი 4:4
შირაქი — მესხეთი 3:0 მესხეთი არ გამოცხადდა
გვარდია — არაგვი 0:1
მერანი-ბაჩო — მერანი 91 2:1
ქიზიყი — სიონი 1:2
აზოტი — ანცი-ზოოვეტი 0:0
ალაზანი — მრეტები 3:1

III ტური

ანცი-ზოოვეტი — ალაზანი 3:0
სიონი — აზოტი 3:1
მერანი 91 — შირაქი 1:1
მრეტები — ასკ 1:0
მესხეთი — ქიზიყი 3:1
არაგვი — მერანი ბაჩო 1:1
თორი — გვარდია 2:3
ჭაბუკიანი — ავაზა 3:0

I ტური. დასავლეთი ზონა

მაღაროელი (ტყიბული) — სამეგრელო (ჩხოროწყუ) 1:0
ეგრისი (სენაკი) — სულორი (ვანი) 1:0
მერცხალი (ოზურგეთი) — სამეგრელი (ბახმარო) 3:0
კახაბერი (ხელვაჩაური) — უნივერსიტეტი (ზუგდიდი) 1:0
შუქურა (ქობულეთი) — სქური (ნალენჯიხა) 1:4
მეშახტე (ტყიბული) — ჩხერიმელა (ხარაგაული) ჩხერიმელა არ გამოცხადდა
საჩინო (ხალხინო) — ბახმარო (ჩობალური) 0:3

II ტური

მაღაროელი — შუქურა 6:3
სამეგრელო — ბახმარო 2:0
ჩხერიმელა — კახაბერი 1:2
იმერეთი — მეშახტე 0:3
სულორი — მერცხალი 2:1

III ტური

შუქურა — სამეგრელო 0:1
კახაბერი — იმერეთი 2:1
ეგრისი — მაღაროელი 1:0
მერცხალი — სქური 3:1
მეშახტე — სულორი 4:0
ბახმარო — უნივერსიტეტი 2:0

კლუბი «მესაფი»

კვლავ სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია

ტოტალიზატორი "CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

			1	X	2
		ინგლისის ჩემპიონატი. VII ტური			
22-25	სექტემბერი	მანჩესტერ სიტი — ნორვიჩი	1,5	2,6	4,2
		კოვენტრი — საუთჰემპტონი	1,5	2,6	4,2
		კრისტალ პალასი — ჩელსი	5,7	2,8	1,3
		ეკერტონი — ლესტერი	1,3	2,8	5,7
		იფსვიჩი — მანჩესტერ იუნ.	5,0	3,0	1,3
		ნიუკასლი — ლივერპული	1,3	2,8	5,7
		ქუინზ პარკი — უიმბლდონი	1,3	3,0	5,0
		შეფილდი — ლიდსი	2,0	2,4	2,3
		ტოტენჰემი — ნოტინგემი	1,8	2,5	3,0
		ბლეკბერნი — ასტონ ვილა	1,2	3,0	6,6
		ვესტ ჰემი — არსენალი	4,2	2,6	1,5
		გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური			
23-24	სექტემბერი	აინტრახტი — ულდინგენი	1,2	3,0	6,6
		მონხენგლადბახი — ბოხუმი	1,2	3,0	6,6
		კაიზერსლაუტერნი — შალკე	1,1	3,4	8,0
		ჰამბურგი — დინამო	1,3	2,2	8,0
		დუისბურგი — ვერდერი	3,0	2,8	1,6
		ფრაიბურგი — ლევერკუზენი	3,0	2,6	1,7
		დორტმუნდი — შტუტგარტი	1,5	2,7	4,0
		კოლნი — კარლსრუე	1,6	2,7	3,2
		ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტური			
24-25	სექტემბერი	ტენერიფე — სევილია	1,4	2,5	5,3
		სოსიედადი — ვალენსია	1,6	2,5	3,8
		ოვიედო — ატლეტიკო	2,0	2,5	2,5
		ვალიადოლიდი — სარაგოსა	3,2	2,5	1,7
		ბარსელონა — კომპოსტელა	1,1	3,0	10,0
		დეპორტივო — ესპანიოლი	1,2	2,8	8,0
		სელტა — რასინგი	1,4	2,5	5,0
		ლოგრონიესი — ალბასეტე	1,6	2,4	4,0
		ბეტისი — სპორტინგი	2,2	2,4	2,5
		რეალი — ატლეტიკი	1,1	3,0	10,0
		იტალიის ჩემპიონატი. IV ტური			
25	სექტემბერი	ლაციო — პარმა	1,8	2,2	3,2
		იუვენტუსი — სამპდორია	1,4	2,4	5,7
		კალიარი — ბრეშია	1,2	3,0	6,6
		ჯენოა — ნაპოლი	1,6	2,5	3,8
		რეჯანა — რომა	2,5	2,3	2,2
		კრემონეზე — მილანი	4,0	2,6	1,5
		ფოჯა — ტორინო	1,2	3,0	6,6
		პადოვა — ბარი	2,0	2,4	2,8
		ინტერი — ფიორენტინა	1,5	2,7	4,0

სხვა სახის ფსონებს გავცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე

Unlimited Hot Water

იყიდება ისრაელის წარმოების

წყლის გამაცხელებელი

ATMOR SUPER-5

(5 კვტ. 220 ვ.)

ფასი 70 $.

ტელ. 39-36-78

წინწილებს შემოდგომით ითვლიან!

გასულდა ქართველ მორაგბეთა თვენახევრიანი საზაფხულო არდადეგები და გაირკვა, რომ ქვეყნის პირველობას ერთბაშად ოთხი გუნდი გამოკლებია: „შევარდენს“ რეალობისათვის ვაჟკაცურად გაუსწორება თვალი და ტკბილასხარაობისათვის პირველობის მიტოვება უმჯობინება; „თბილისის“ უფროსობა მიმხვდარა, რომ მეორე გუნდში მოთამაშე ბიჭებიდან დიდი მოთამაშე არავინ დადებოდა და უმცროს ჯგუფში მოსახარეზე გუნდი დაუშლია; ამბობენ, ზაურის გუნდი სპონსორებს დაეღალტებიათო, რაც მოლად სარწმუნო არა გვგონია; რაც შეეხება „მერკურს“, რომელიც უწინდელი „შევარდენისა“ და „ამირანის“ რჩეული ძალების შერწყმის შედეგად ამ სეზონის წინ სახელდახელოდ შეიკრა და რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები ხუთი მწვრთნელი ჰყავდა, განაცხადში კი 40-მდე მორაგბე ეწერა, მისი შემადგენლობის მეტი წილი მიმოიფანტა: ზოგი ბიზნესში გადავიდა, ზოგი უკვალოდ გაუჩინარდა, ზოგი ახლადშეკრებილ „ეუმარში“ გადავიდა და საფრანგეთში გამეზავრების ხათრით თავგამოდებული ვარჯიშობს, ზოგი კი საერთოდ უგუნდოდ დარჩა, მაგრამ როგორც ამბობენ, რკინიგზელთა დილმის ბაზაზე სავარჯიშოდ მაინც დადისო.

„მერკურის“ მთავარ მწვრთნელ რამაზ სანგლიძეს ამდენმა გაჭირვებამ, ეტყობა, პირველობაზე გული აუცრუა და რაგბის კაშირს აცნობა, ვინაიდან ამ ვითარებაში გუნდის საშეჯიბროდ გამოყვანას აზრი აღარა აქვს, ტურნირს თავს ვანებებთო. ამის შემდეგ რაგბის კაშირმა ერთი პირობა სცადა ერთ „ძალურ“ უწყებაში შეეხიზნა „მერკური“ და დროებით მაინც ორმაგი სახელით ეთამაშებინა, მაგრამ ეს წამოწყება საგაისოდ გადადო.

სამაგიეროდ, ამოისუნთქეს ქუთათურებმა, ვინაიდან რიონისპირა ქალაქში ლიგის რაგბის დანერგვის აზრი საბოლოოდ დასამარდა. „ერქვანის“ ლიგელთა ერთი ნაწილი, მათ შორის „ჩინმიად“ ცნობილი მაჩიტიძეც, ისევ რაგბს დაუბრუნდა, გუნდის თავკაცი რამაზ ხვანიძე კი მატერიალურ გაჭირვებას საბერძნეთში გაექცა. ელადას მიმავალ მწვრთნელს რაგბის კავშირმა სარეკომენდაციო წერილიც გაატანა, რომელშიც ამ ღვაწლმოსილი სპეციალისტის წვლილი პირუთვნელადაა შეფასებული. ბატონი რამაზი უცხოეთში დამკვიდრების კვალად იქაც რაგბის (ჩვეულებრივის და არამც და არამც ლიგის!) დანერგვას ფიქრობს.

მეორე წრე ქუთაისის „აიას“ მესამე და ბოლო პირველი ტურნეთი დაიწყო. სტუმრები ჯერ შეერკინენ „ყოჩებს“, რომელთა შემადგენლობაშიც რვა გუშარელმა ითამაშა (დფაზე ამათ * ამშვენებთ). მასპინძლები მაგრად დასდგომიან ქუთათურებს და თამაშის ბოლომდეც წინ 11:6 ყოფილან, მაგრამ ამ დროს უმარჯვნა „აიას“ და აბრაგანის შემდეგ გამარჯვების მომტანი ლელო გაუტანია. აღსანიშნავია, რომ „ყოჩების“ ლელოც აბრაგანიდან გასულა.

ჯაეში ასპარეზობის ორი დღის თავზე „აია“ ქვეყნის ჩემპიონ „აზოტს“ ეწვია. შეხვენებამდე ქუთათურებმა მასპინძელთა უკანა ხაზს გასაქანი არ მისცეს — დერეფანში მძლავრობდნენ და იქ მოგებულ ბურთებს უმცროსი ძაგნიძე ერთთავად ფეხს ურტყამდა. შეხვენების შემდეგ სტუმრებს ჯეარ გაუმართლა ათკაციანი რაგბის თამაშმა: ლევან ბერიშვილის არატრადიციული, მოედნის გარდიგარდმო რეიდის შემდეგ 42-ე წუთზეკე ლელო გაუშვეს. მართალია, რუსთაველებს, 5-6 საჯარიმო გაცუდდათ, მაგრამ თამაშის ბოლო ათწუთულამდე საკმაოდ მშვიდად იგებდნენ. ამ დროს „აიამ“ კონტრიერიში განსორციელა და მასპინძელთა ლელოსთან დამკვიდრდა; ძალისმიერი ლელო ვერ გაიტანა, მაგრამ მერე თამაშ-თამაშ იმარჯვა. კრიტიკულ ვითარებაში გუშარელმა ჩიქვინიძემ შორიგი გარღვევა მოაწყო, მერე კი ზურაბ ბერიშვილმა ფეხით წინ დიდებულად გაიგდო ბურთი და მას ლელოში დაეწია.

ქუთათურები მეორე ნახევარში ერთობ ღაღლილნი ჩანდნენ. ძაგნიძე მსაჯის გადაწყვეტილებებს ხშირად ურთავდა უხმს კომენტარს, რისთვისაც მოედნიდან ორჯერ გაძეკეს, მაგრამ თანაგუნდელთა გამოქომაგებისა და მედიატორთა ჩარევის შემდეგ თამაში ბოლომდე ჩამთავრა.

„აზოტი“ დაკარგული ქულებით „აიას“ გაუსწორდა. ჩემპიონობის მესამე მოცილე „თბილისმა“ „აიას“ კინალამ-მძლეველი „ყოჩები“ მილეწ-მოლეწა. ამათ ამჯერად მეტი გუშარელი გამოიყენეს, თამაშიც რიხიანად დაიწყეს, მაგრამ ჯერ თავიანთი მცველის, მერე კი მისი გუშარელი შემცველის მიამიტური შეცდომების გამო სამი ლელო ერთბაშად გაუშვეს და მოტყდნენ. მორიგი შოუ გამართა „თბილისის“ დარტყმელმა დავით გეგელაშვილმა, რომელმაც მოედნის შუა ხაზიდან საჯარიმო ორჯერ დარტყა და ბურთი ორჯერვე ხარიხის მოახვედრა, თამაშის ბოლო მეოთხედში კი მაჟერებელთა ხითხითის თანხლებით კიდიდან სამჯერ გარდასახა ლელო. მისმა თანაგუნდელებმა, მეტადრე კი უკანახაზელებმა და მესამე ხაზის მორკინალებმა ბურთით ბევრი ინავარდეს. ალანამ სამი ლელოც კი აიტანა.

შემდეგ ტურში „თბილისი“ „აიას“ უნდა ეწვიოს. მოსალოდნელია, რომ ქუთაისში მასპინძლები უკეთეს შემადგენლობას მოუყრიან თავს. თუ „აია“ მოიგებს, პირველობის სამივე კანდიდატს ორ-ორი წაგება დაუგროვდება, მერე კი ვაკეში „თბილისმა“ „აზოტს“ უნდა უმასპინძლოს. ამ მატჩის გამარჯვებული ქუთათურებს უეჭველად დამატებით მატჩს ეთამაშება საქართველოს 1994 წლის ჩემპიონის ტიტულისათვის.

ნიკა ბუპატაძე

საქართველოს პირველობა

პირველი ჯგუფი

ყოჩები 11 (5) — აია 13 (3)

17.IX. ვაკე

ყოჩები: გ. ძაგანელი*; ნ. ხვედელიძე; ხ. ბერიშვილი, ბარძიმიშვილი (მ. კალანდაძე), ჯანაშვილი; ჭეიშვილი*, გიორხელიძე; ფირიაშვილი*, გიგაშვილი, გაგნიძე*; გუშარაშვილი, გოგეშვილი (ლაშა ჩიქვინიძე*); მხეიძე (ეკიზაშვილი*), ზ. ლეჟავა*, სულხანიშვილი. — ლ: ხვედელიძე; 2ხ: ძაგანელი

აია: შანიძე; თედოშვილი, ჟორჟოლიანი, ე. ძაგნიძე, კ. გაბრიჩიძე; პ. ტყაბლაძე, რ. ჩუბინიძე; მარგველაშვილი (გაძეკეს), ავთ. გიორგაძე, ბაბუნაშვილი; ლეკიძე, ოდიშარია; გოგისვანიძე, ზაზა შვანგირაძე, ფხაკაძე. — ლ: შვანგირაძე; გ: შანიძე; 2ა: ტყაბლაძე, ძაგნიძე

მსაჯი გორა აბაშიძე

აზოტი 15 (0) — აია 8 (3)

19.IX. ქორწილის დასახლება

აზოტი: ი. ლეჟავა*; ლ. ბერიშვილი, ზ. ბერიშვილი, ლევან ჩიქვინიძე*, მინდორაშვილი (აფციაური); გოგიშვილი, ხუციშვილი; მღებრიშვილი, მთიულიშვილი, ცაბაძე*; ყანჩაველი, ზ. მაჩიტიძე; ზ. მოდებაძე*, ეგიმშელაძე, ქერდიეაშვილი. — 2ლ: ჩიქვინიძე (5:3), ზ. ბერიშვილი (15:8); გ: ლეჟავა (7:3); ხ: ლეჟავა (10:3)

აია: შანიძე; ტყაბლაძე, გაბრიჩიძე, ჟორჟოლიანი, თედოშვილი; ე. ძაგნიძე, ჩუბინიძე; აშვეთია, გიორგაძე, ბაბუნაშვილი; ლეკიძე (სოფრომაძე), ოდიშარია; გოგისვანიძე, შვანგირაძე, ფხაკაძე. — ლ: სოფრომაძე (10:8); ხ: ძაგნიძე (0:3)

მსაჯი ავთო ლიბრაძე

ყოჩები 5 (5) — თბილისი 47 (19)

21.IX. ვაკე

ყოჩები: ბარძიმიშვილი (ძაგანელი* (გეგენავა)); ხვედელიძე*, ხაკანდელიძე, ჭეიშვილი*, ჯანაშვილი (ფარცვანია*); კალანდაძე, გიორხელიძე; გიგაშვილი, ჩიქაკა* (გოგეშვილი), გაგნიძე* (ჩიქვინიძე*); გუშარაშვილი, დიდებულიძე*; მხეიძე, სულხანიშვილი (ჭელიძე). ლეჟავა*. — ლ: ხაკანდელიძე (32)

თბილისი: ნეველიძე (ხიხარულიძე); ხ3. ლიპარტელიანი, კ. ალანია, მარჯანიშვილი*, ქაკთარაშვილი; გეგელაშვილი, იოთაძე; ცქიტიშვილი (რეხვიაშვილი), ბ. დოლიძე, მაჭუტაძე; კახიანი, ალ. ლიბრაძე; დგებუაძე (აბელოვი), ა. კობახიძე, ობოლაძე*. — 7ლ: ალანია (12, 20, 74), ქაკთარაშვილი (15, 63), ლიპარტელიანი (56), დოლიძე (81); 6გ: გეგელაშვილი (12, 15, 63, 66, 74, 81)

მსაჯი ლევან მგელაძე (47+39)

მეორე ჯგუფი

7.IX: დელფინები (ბათუმი) 0 — ქორები 22 (10) (4ლ, 6ვ). 10.IX: აიეტი (ქუთაისი) არ გამოცხადდა ბათუმში. 12.IX: დინამო 19 (7) (3ლ, 2ვ) — რაში 6 (3) (ს, ა: თ. ცინცაძე). 17.IX: ქორები 7 (0) (ლ, ვ) — უნივერსიტეტი 6 (6) (2ხ), თამაში ნაკადიდში დამთავრდა; აიეტი 23 (13) (2ლ, 2ვ, 3ხ) — დინამო 19 (5) (3ლ, 2ვ). დინამო ჩივის, აქაოდა მსაჯმა ფულარიამ თამაში 11 წუთით ადრე დამთავრაო

I ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	—	ბ	ლ	ქ
თბილისი	7	6	0	1	-	186: 59	26	12
აია	8	6	0	2	-	145: 84	16	12
აზოტი	7	5	0	2	-	299: 88	46	10
ყოჩები	8	2	0	6	-	123:255	14	4
ლელო	6	1	0	5	-	91:148	13	2
მერკური	6	4	0	2	1	156: 62	21	7
შევარდენი	6	0	0	6	1	37:341	3	-1

II ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	ლ	ქ
ქორები	9	9	0	0	323: 21	52	18
აიეტი	8	6	1	1	194: 71	22	13
დინამო	8	5	1	2	133:101	20	11
უნივერსიტეტი	7	3	0	4	122: 56	13	6
დელფინები	7	2	0	5	47:252	2	4
რაში	8	0	0	8	37:161	4	0
თბილისი II	6	2	0	4	28:127	4	4
ხაშური	5	1	0	4	24:119	2	2

თმებგაჩეჩილი კინგი

ხვალ ლონდონში, „უემბლი არინაზე“ მძიმეწონოსანთა ნაღდი მსოფლიო ჩემპიონი ლენოქს ლუისი ოლივერ მაკქოლთან შერკინებაში ტიტულის დაცვას ეცდება. ტრადიციისამებრ მეტოქე ბანაკებმა ბრძოლამდე კარგა ხნით ადრე გამოლანძღეს ერთმანეთი და მედიაში ჭეშმარიტად სიტყვიერი ომიც გაიჩაღეს. შერკინების კვირაძალს მაკქოლის იმპრესარიო დონ კინგმა მეტოქეებს ცხვირი აუბზუა და პრეს-კონფერენცია გააცდინა. ლუისის ბანაკმა მაყის ერთი ამბავი ატეხა, აქაოდა კინგი ვერ ჭაუობს, თუკი ვინმე აჭობებსო. მაკქოლმა რომც წაგოს, გასამრჯელოდ მაინც 2 250 000 დოლარი ერგება. ამის თითქმის ნახევარს კინგი ჩაიჩიბებს, რაკიღა ლუისთან ბრძოლა გაუსალიჩა.

*

დღეს დივისის თასის ნახევარფინალები იწყება. გეტტბორგში შვედეთი აშშ-ს უმასპინძლებს, ჰამბურგში კი გერმანია რუსეთს ეთამაშება. გერმანელებს აკლდებათ ბეკერი და ბორძუნატკენი ბელნერი, რუსები კი კაფელნიკოვის იმედად არიან. რაც შეეხება ანდრე აგასის, ვინაც აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, მას სადევისისთასოდ არა სცალია, იმდენად გადატვირთული კალენდარი აქვს.

*

კვირას შუადღით, ნიუ-იორკში, მეგობრის ბინაში მკვდარი იპოვეს 40 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ვიტას გერულაიტისი. იგი წყვილთა თამაშის სპეციალისტად ითვლებოდა და ასაკს მიუხედავად აშშ-ის წლევანდელ ღია პირველობაშიც უსაპარეზია. ვიტასის უეცარი სიკვდილის მიზეზი თავიდან ნარკოტიკული მოწამვლა ეგონათ, ვინაიდან ცნობილი იყო, რომ ბოლო ხანებში ჩოგბურთელი კოკაინს ეტანებოდა და გათენებიდან დადამებამდე ერთთავად გოლფს თამაშობდა. მაგრამ გვამის გაკვეთით დადგინდა, რომ გერულაიტისი გაუგუდავს ნახშირჟანგს (CO), რომელსაც ვათბობის სისტემის გაუმართაობის გამო სასიკვდილო დოზით შეუღწევია ბინის სავენტილაციო სისტემაში.

*

პროფესიულ ჩოგბურთში მცირე რევოლუცია მზადდება. საქმე ისაა, რომ კაცთა თამაში ერთობ ძალისმიერი გამხდარა — ჭულების საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი უშუალოდ მოწოდებიდან მოიპოვება, რაც თამაშს ძალიან მოსაწყენ იერს ანიჭებს. ამის გამოსასწორებლად კაცთა და ქალთა პროფესიული ტურების ორგანიზატორებმა და დიდი ხელმის შეჯიბრებათა განმგებლებმა დაადგინეს, რომ გაისიდან ბალახის კორტებზე სათამაშოდ გამოაყენებინონ რბილი ბურთები, მიწის საფარზე სათამაშოდ კი — უფრო მაგრები. გარდა ამისა, ბურთის მოწოდების დრო 25 წამიდან 20 წამამდე შეამცირეს. მოედნის ზომებისა და ჩოგნის მახასიათებლების შეცვლასაც ვარაუდობდნენ, მაგრამ ჭერჭერობით თავი შეიკავეს.

*

ამერიკელები გლოვობენ. მიზეზი ისაა, რომ კეტბურთის მსოფლიო სერიას მოისაკლისებენ — პირველად ბოლო 90 წლის განმავლობაში. უკეტბურთო შემოდგომა მათთვის აქამდე წარმოუდგენელი ყოფილა. პროფესიული კეტბურთის ეს საწვენებელი ღონისძიება აქამდე ვერც მსოფლიო ომებსა და ვერც მიწისძვრას შეუფერხებია, მაგრამ წელს კლუბების მეპატრონენი და მოთამაშეები ფულზე — საამდღეო ჯამაგირებზე და სახვალიო პენსიებზე ვერ მორიგდნენ და მოთამაშეებიც გაიფიცნენ. ამბობენ, მოთამაშეთა ერთი ნაწილი საკუთარი ლიგის ჩამოყალიბებასაც აპირებსო. აგვარი რამ დღევანდელ მებეისბოლეთა პაპისპაპებს ერთხელ, 1890-იან წლებში უკვე უცდიათ.

აქეთური, იქითური

NBA-ის ამბები

„ფილადელფია-76“-მა, ბოლო სეზონში ერთ-ერთი უკანასკნელი რომ იყო, მწვრთნელად მიიწვია ასოციაციის ყველა დროის უძლიერესი ცენტრი ქარიმ აბდულ-ჯაბარი. NBA-ის ექვსგზის უძვირფასეს მოთამაშეს ერთი კონკრეტული დავალება ექნება: პერსონალურად ავარჯიშოს „ფილადელფიის“ ცენტრი, 230-სანტიმეტრიანი შონ ბრედლი.

აბდულ-ჯაბარის ყოფილი თანაგუნდელი „ლოს-ანჯელეს ლეიკერზიდან“, ასოციაციის ოთხგზის ჩემპიონი და 1987 წლის საუკეთესო მცველი მაიკლ კუპერი უზნეობას ემსხვერპლა. კუპერი, ამჟამად „ლეიკერზის“ მეორე მწვრთნელი, ღამე შინ მთვრალი მისულა და ცოლისთვის მეუღლის მოვალეობის შესრულება მოუთხოვია. იმ ხანად შეუძლოდ მყოფ ჭალბატონ კუპერს შორს დაუჭერია გალეშილი და ვნებაშლილი ქმრის წინადადება, გამძვინვარებულ მაიკლს კი მისთვის ძვირფასი ჩინური ლარნაკი გამოუქანებია და ქალს რომ არ ემარჯვა, თავსაც წაიკლიდა. ქალაქის სასამართლომ კუპერი სოლიდური თანხით დააჯარიმა.

კანონი დაარღვია კიდევ ერთმა მწვრთნელმა — „პოუსტონ როკეტსის“ რედი ტომიანოვიჩმა. იგი უგონოდ მთვრალი მართავდა მანქანას, როცა საგზაო პოლიციას ჩავარდნია ხელში. ტომიანოვიჩის ბედზე ქალაქის საბჭოს დადგენილება ჯერ არ გამოუტანია.

კიდევ ერთი ჰუსტონელი გაეხვა ოჯახურ უსიამოვნებაში — „როკეტსის“ მოთამაშეს ვერნონ მაქსველს — „გიფ მაქსს“ ცოლ“ გაექცა. ეს მოხდა ზუსტად ორი თვის შემდეგ, რაც მაქსველი NBA-ის ჩემპიონი გახდა.

მწვრთნელი და სახელი ერთდროულად შეიცვალა „ნიუ-ჯერსი ნეთსმა“. ჩაკ დეელიმ, ვინც „დეტროიტი“ ორჯერ გახადა ასოციაციის ჩემპიონი, ხოლო ქვეყნის ნაკრებს ბარსელონის ოლიმპიადაში გაამარჯვებინა, პენსიაში გასვლა ისურვა. მის ნაცვლად პორტლენდელი ფი. ჯეი. კარლესიმოს გადმოყვანა სურდათ, მაგრამ არჩევანი საბოლოოდ საუნივერსიტეტო გუნდების მწვრთნელზე ბატ ბირდზე შეჩერდა. ნიუ-ჯერსის გუნდს ამიერიდან „ნიუ-ჯერსი სვამფ დრაგონზი“ (ნიუ-ჯერსელი ჭაობის ურჩხულები) ერქმევა.

საბოლოოდ დადგინდა სახელწოდებანი ორი კანადური გუნდისა, რომლებიც 1995 წელს ჩაერთვებიან NBA-ის ჩემპიონატში. „ტორონტო რიტორზს“ (ტორონტოელი დინოზავრები) პრობლემები არ ჰქონია. სამაგიეროდ, გაწვალდნენ ვანკუვერელები — მათ გუნდისთვის „მაუნთიზის“ (ბედაურები) დანთვლა სურდათ, მაგრამ ქალაქის ცხენოსანმა პოლიციამ ნება არ მისცა. გუნდის პატრონებმა გამოსავალი იპოვეს და „ვანკუვერ გრიზლის“ (ვანკუვერელი დათვები) დარქვეს.



ჩეისონ კიდი — უკანონო მამა

21 წლის ჯეისონ კიდს, ვინც „დალას მავერიქსმა“ წლეულ აიყვანა დრაფტში, დიდი ხარჯის გაღება მოუწევს. მას უკანონო შვილი შესძენია ალექსანდრია ბრაუნთან. მარტოხელა დედა ყოველთვიურად 10 ათას დოლარს სთხოვს კიდს ბავშვის აღსაზრდელად. ამას გარდა, კალიფორნიელს 10 ათასის გადახდა მოუწევს ჯეკში, 25 ათასისა — მანქანაში, დედა-შვილის სამედიცინო დაზღვევის საფასურის ოდენობა კი ჯერ ცნობილი არ არის.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით

ინდექსი 66 441

რაიონებისათვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208

იბეჭდება „გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა

„მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)